

სს „სი ეს არ“
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები	13
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	15
6. ძირითადი საშუალებები	16
7. არამატერიალური აქტივები	16
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
9. ინვესტიციები	17
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
11. კაპიტალი	18
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
13. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	19
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
15. მოგების გადასახადი	19
16. პირობითი ვალდებულებები	20
17. ფინანსური რისკის მართვა	20
18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	22
19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საქციო საზოგადოების „სი ეს არ“-ის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩადატარეთ სი „სი ეს არ“-ის („შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მაყუბა-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისან, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისასან და ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისან, მათ შორის მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მომზიდლვისან.

ჩვენი აზრით, წარმოდებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახული კომისანის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ავრეტვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მომზადებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსურ ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასის)

მოსაზრებას საფუძვლი

აუდიტს წარმოართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების სამჭოს (ზესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხმაბა ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში: გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ზესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ვეჯვრა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების დამოუკიდებლობის აუდილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის ზე მასუხისმგებელი პირთა მასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსურ ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეედინება გამოწვეულ არსებით უზრუნველას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას უვალება, შეუვასოს კომპნიის ფუნქციონირებადობის უწარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებული კომპანიის უზრუნველისირებადობათან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპების გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქცეს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქცეს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის მასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობისა და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენი მოსაზრებას, დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს წებისმიერ არსებით უზრუნველობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეოძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთიბლოვად, გაღლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

Closer to you

ასე-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენს:

- ვადგოთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშების არსებობით უზუსტობის რისკებს; ვავგავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოწულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისი და შესაფერის იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის სუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებობით უზუსტობა უფრო მაღალი, ვიდრე რასკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობების ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განვითარებას გამოტოვებას. აუდიტორისთვის წინასწარგანზრაბულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის მიღება კონტროლის სამუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერის აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის მიღება კონტროლის უფლებამობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწინილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკუნ გამოვვაჭვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოულუნებოთ, ან პირობებთან დაკავშირებული არსებოთი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებოთი განსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადვიკატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკუნები უყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და მინარესს, მათ შორის, ასენა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშების უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღმტული იპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩართვის უფლებამოსილებით აღმტურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი შასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წარმოშობილ მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი წაკლნანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის გელა მლებრიშვილი.

მას ნექსი „თიერ“-ს სახელით

გელა მლებრიშვილი



თბილისი, საქართველო

30 მარტი, 2020 წელი

სს „სი ეს არ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული დარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	4,095	5,119
ინვესტიციები	9	308,463	308,463
არამატერიალური აქტივები	7	1,960	2,118
სულ გრძელვადიანი აქტივები		314,518	315,700
 მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	71,496	21,802
დეპოზიტები	10	24,969	40,000
შეზღუდული ფულადი სახსრები		-	25,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	11,557	4,339
სულ მიმდინარე აქტივები		108,022	91,141
სულ აქტივები		422,540	406,841
 კაპიტალი და ვალდებულებები			
სააქციო კაპიტალი	11	7,000	7,000
საემისიო კაპიტალი	11	351,501	351,501
გაუნაწილებელი მოგება		60,661	43,959
სულ კაპიტალი	11	419,162	402,460
 მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3,378	4,381
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,378	4,381
სულ ვალდებულებები		3,378	4,381
 სულ ვალდებულებები და კაპიტალი		422,540	406,841

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 30 მარტს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით

მერაბ ვარდიაშვილი
დირექტორი

7-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „სი ეს არ“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ დარტი)

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	13	37,657	66,006
საერთო მოგება		37,657	66,006
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(29,711)	(25,549)
საოპერაციო მოგება		7,946	40,457
ფინანსური შემოსავალი	10	8,756	5,204
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(18,600)
მოგება დაბეგვრამდე		16,702	27,061
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		16,702	27,061
 სხვა სრული შემოსავალი	 9	 -	 -
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		16,702	27,061

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 30 მარტს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით:


D. Javakhishvili
მერაბ ვარდიაშვილი
დირექტორი

სს „სი ეს არ“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულა დარში)

შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2017	11	7,000	351,501	16,898 375,399
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	27,061 27,061
31 დეკემბერი 2018	11	7,000	351,501	43,959 402,460
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	16,702 16,702
31 დეკემბერი 2019	11	7,000	351,501	60,661 419,162

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 30 მარტს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:



მერაბ ვარდიაშვილი
დირექტორი

სს „სი ეს არ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		16,702	27,061
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	1,182	1,448
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	10	(8,756)	(5,204)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		9,128	23,305
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(1,003)	(1,511)
მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(7,218)	(3,126)
ფულის შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან		907	18,668
მიღებული პროცენტი		8,756	2,577
წმინდა ფულის შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან		9,663	21,245
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შეზღუდული ფულადი სახსრების ცვლილება	10	25,000	(25,000)
განთავსებული დეპოზიტების შემცირება	10	15,031	-
არამატერიალური აქტივების შემცირება		-	(149)
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში		-	3,092
წმინდა ფული (გამოყენებული)/მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან		40,031	(22,057)
წმინდა ფულის ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		49,694	(812)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	21,802	22,614
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	71,496	21,802

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 30 მარტს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

მერაბ ვარტიაშვილი
დოკუმენტის

7-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „სი ეს არ“ (შემდეგში „კომპანია“) დაარსდა და საგადასახადო ორგანიზი დარეგისტრირდა 2016 წლის 17 მარტს. კომპანიის დირექტორია მერაბ ვარდიაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან ვახტანგ სვანაძე (თავმჯდომარე), მერაბ მემარნიშვილი (თავჯდომარის მოადგილე) და გიორგი ლოლაძე.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2016 წლის 16 მარტის წესდების მიხედვით შედგება 1 (ერთი) თეთრის ნომინალური ღირებულების მქონე 500,000 ცალი ჩვეულებრივი აქციისგან. 2016 წლის 5 სექტემბრის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ნებადართული აქციების რაოდენობა გაიზარდა 500,000 ერთეულით და განისაზღვრა 1,000,000 აქციით. 2016 წლის 3 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით დამატებითი 500,000 ნებადართული ჩვეულებრივი აქციიდან გამოიცა 200,000 აქცია, რომელიც არსებულ მფლობელებზე მათი წილის პროპორციულად განაწილდა.

2019 წლის 31 დეკემბრის, ისევე როგორც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები არიან: სს „საბროვერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“ – 25,5%, ვარდიაშვილი მერაბი - 15,7%, ლოლაძე გიორგი - 7,2%, მემარნიშვილი მერაბი - 35,7% და სვანაძე ვახტანგი - 15,7%. კომპანია ახორციელებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მომსახურებას.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამზირი ი.ჭავჭავაძე, N 74/11.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდატების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღრებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და საწესდებო კაპიტალის ოდენობა.

როგორც ეს მე-20 შენიშვნაშია მოცემული, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0701

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართვად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „შეიღოდ მირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონკრეტულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი შეჯასება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს. რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

რეალური ღირებულებით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

კომპანია სავალო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აფასებს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნესმოდელის ფარგლებში. რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით და ამ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობით ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებასა და ზარალში ასახვით

ისეთი ბიზნესმოდელით მართული ფინანსური აქტივები, რომლის მიზანი არც ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობაა და არც ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობა, ან რომელთა სახელშეკრულებო პირობები ვერ აკმაყოფილებს SPPI ტესტს, ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებასა და ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ონსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშგება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიღვომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქტების რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დეტილორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოცერდოფაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბანკო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის მირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვნაზე ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგებაზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და წეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდღოულად წეტო თანხაზე.

დეპოზიტები, ფული და ფულის ეკვივალენტები

დეპოზიტები, ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო დეპოზიტებს, ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. დეპოზიტები და ფულიდი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენება, აღიარდება როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

მირითადი საშუალებები

მირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება შათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. შემდეგ საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან. მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. წესისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცველბასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რამე ნიშნები. თუ გაუფასურებას მოხდა, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

სს „სი ეს არ”

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის მირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცხოლო პერიოდის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების

ვადა წლებში

ავეჯი და სხვა ინვენტარი

3-8

ნარჩენი ღირებულება არის სავარაულო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადახედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მომსახურებასის გაწევა. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

სააქციო და საემისიო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებისას კაპიტალში შემოსავალი აისახება პირდაპირი ხარჯების (გადასახადების გარეშე) დაკლებით. სხვაობა აქციის ნომუნალურ და სამართლიან ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც საემისიო კაპიტალი.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც მაღაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:
ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასი 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმ 27 „გარიგების მინარესის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოიყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოიყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოიყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ზალანშე აღიარებს წინა პერიოდის შესაძარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე. კომპანიამ გამოიყენა განთავისუფლების უფლება იმ იჯარებზე, რომელიც სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის (2019 წლის 1 იანვარი).

ვადის ამოწურვამდე დარჩენილი ჰქონდათ 12 თვეზე ნაკლები პერიოდი და ახალი სტანდარტის დანერგვას კომპანიის საწყის ნაშთებზე გავლენა არ ჰქონია.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის და მას შემდეგ კომპანიას არ აქვს გაფორმებული გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებები. აქედან გამომდინარე, ახალი სტანდარტის დანერგვას კომპანიის ანგარიშგებაზე გავლენა არ ჰქონია.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დაწახარჯებს აქტივის გამოიყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოიყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოიყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოიყენების თარიღისთვის აქტივის გამოიყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარე ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოიყენების თარიღამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

მი იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა სტანდარტის თავდაპირველი გამოიყენების თარიღისთვის აქტივის გამოიყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოიყენებით შეფასებამდე.

მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა საპროცენტო განაკვეთს შესთავაზებს ბანკი კომპანიას ანალოგიური პირობების სესხზე.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

სს „სი ეს არ”

ფინანსური აწგარიშვების გამარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ დარში)

4. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები (გაგრძელება)

კომპანია როგორც მოიჯარული მომხდარი ცვლილებები

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

- ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.
- ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს. როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის აწგარიშვებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითონირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითონირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღისთვის, ან და ამ თარიღისთვის დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწეულ საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირდაპირი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარავის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

სს „სი ეს არ”

ფინანსური ანგარიშგების გამარტივითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

(ქართული ლარში)

4. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები (გაგრძელება)

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად. ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

დაკავშირებულ მხარეებთ

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები ხდება გაშლილი ხელის პრინციპის დაცვით. მხარეებს შორის ბალანსები წლის ბოლოს უზრუნველყოფის გარეშე და არ აგენტორებს საპროცენტო შემოსავალს და ანგარიშსწორება ხდება ნაღდი ფულით.

სს „სი ეს არ“
 ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერი
(ქართულ დარში)

6. ძირითადი საშუალებები

	ავჯი და სხვა ინვენტარი	სულ
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2017	8,195	8,195
შეძენა	-	-
31 დეკემბერი 2018	8,195	8,195
შეძენა	-	-
31 დეკემბერი 2018	8,195	8,195
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2017	1,797	1,797
ცვეთის ხარჯი	1,279	1,279
31 დეკემბერი 2018	3,076	3,076
ცვეთის ხარჯი	1,024	1,024
31 დეკემბერი 2019	4,100	4,100
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2018	5,119	5,119
31 დეკემბერი 2019	4,095	4,095

7. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზია და პროგრამები	სულ
საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	2,500	2,500
შეძენა	149	149
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2,649	2,649
შეძენა	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	2,649	2,649
დაგროვილი ამორტიზაცია		
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	362	362
ამორტიზაციის ხარჯი	169	169
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	531	531
ამორტიზაციის ხარჯი	158	158
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	689	689
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2018	2,118	2,118
31 დეკემბერი 2019	1,960	1,960

სს „სი ეს არ”

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ დარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	11,403	4,190
გადახდილი ავანსები	154	149
სულ მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,557	4,339

პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა გაუფასურების რეზერვის ცვლილება. სავაჭრო მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანხით 11,403 ლარი არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული (2018: 4,190 ლარი).

9. ინვესტიციები

ინვესტიციები შედგება კომპანიის მიერ შეძენილი პრივილიგირებული აქციებისგან და კომპანია არ ფლობს კონტროლს ინვესტირებულ საწარმოში მიუხედავად პრივილიგირებული აქციების პროცენტულობისა. ინვესტიციები პრივილიგირებულ აქციებში აღიარებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო მიღებული დივიდენდები აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებაში.

ინვესტიციების ნაშთის დეტალური მოძრაობა მოცემულია ქვემოთ.

	2019	2018
1 იანვრის მდგომარეობით	308,463	205,207
შეძენა	-	103,256
ღირებულების ცვლილება	-	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	308,463	308,463

სს „სი ეს არ”-ის აქციონერთა კრების 2016 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, 2016 წლის 8 აგვისტოს კომპანიამ 68.7 ლარად შეიძინა 0.99 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე სს „ეს ეიჩი“-ს 2,987 ცალი პრივილეგირებული აქცია (სულ: 4,490), რაც შეადგენს მთლიანი პრივილეგირებული აქციების 66,5%-ს. სს „სი ეს არ“-ის აქციონერთა კრების 2016 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2018 წლის 11 ნოემბერს აქციონერების მიერ მოხდა კომპანიის კაპიტალის შეცსტა სს „ეს ეიჩის“ 1,458 ცალი პრივილეგირებული აქციით და დარჩენილი 45 ცალი აქციის შესყიდვა კი განხორციელდა 2018 წლის 28 დეკემბერს.

2019 წელს დამატებითი ცვლილება არ მომხდარა, როგორიცაა ინვესტიციების შესყიდვა და გაყიდვა. ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ დაფიქსირებული განხორციელებული ინვესტიციების რეალურ ღირებულების ცვლილება, რადგან არ მომხდარა ფასების მნიშვნელოვანი ზრდა ან კლება 2019 და 2018 წლების განმავლობაში.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული სალაროში	36	193
ეროვნული ვალუტა ბანკში	13,610	21,609
დეპოზიტები 90 დღემდე ვადით	57,850	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	71,496	21,802

სს “სი ეს არ”

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ ლარში)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

კომპანიას ბანკში გახსნილი აქვს ოთხი სადეპოზიტო ანგარიში, რომლებზეც განთავსებულია ჯამში 82,849 ლარი წლიური 11%-იანი სარგებელით. 2019 წელს საბანკო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტიდან ფინანსურმა შემოსავალამა შეადგინა 8,756 ლარი (2018: 5,204).

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. კაპიტალი

ნებადართული აქციების რ-ბა	გამოცემული აქციების რ-ბა	ჩვეულებრივი აქციები (ათასი ლარი)
1,000,000	700,000	7,000

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2016 წლის 16 მარტის წესდების მიხედვით წარმოდგენილია ერთი თეთრის ნომინალური ღირებულების მქონე 500 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის სახით. აქედან 2016 წლის 16 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმით მოხდა 198,333 ცალი აქციის განაწილება, თითოეულ აქციაზე შენატანის ოდენობა კი განისაზღვრა 0.50128 ლარით. 2016 წლის 21 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმის მიხედვით მოხდა დარჩენილი 301,667 ცალი აქციის განაწილება, აქედან 75,509 ცალ აქციაზე შენატანის ოდენობა განისაზღვრა 0.50128 ლარით, ხოლო 226,158 ცალ აქციაზე 0.51835 ლარით.

2016 წლის 5 სექტემბრის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ნებადართული აქციების რაოდენობა გაიზარდა 500,000 (ხუთასი ათასი)-ით და განისაზღვრა 1,000,000 აქციით. 2016 წლის 3 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით დამატებითი 500,000 ნებადართული ჩვეულებრივი აქციიდან გამოიცა 200,000 აქცია, რომელიც არსებულ მფლობელებზე მათი წილის პროპორციულად განაწილდა, განთავსებისას ერთი აქციის ფასად განისაზღვრა 52 თეთრი. შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საემისიო და სააქციო კაპიტალი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საემისიო კაპიტალი	351,501	351,501
გამოცემული სააქციო კაპიტალი	7,000	7,000
სულ სააქციო კაპიტალი	358,501	358,501

კომპანია დივიდენდს გასცემს დაგროვებული განაწილებელი მოგებიდან, 2019 წლის განმავლობაში კომპანიას არ გაუცხადებია დივიდენდები.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გადასახდელი ხელფასები	2,386	3,700
სავაჭრო ვალდებულებები	992	681
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,378	4,381

სს „სი ეს არ”

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ დარში)

13. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2019	2018
საკომისიო შემოსავალი	20,777	49,523
სააბონენტო შემოსავალი	16,880	13,383
სხვა	-	3,100
სულ შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	37,657	66,006

საკომისიო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდების რეესტრში ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციების (ემისის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას, მოთხოვნის თანახმად აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას. სააბონენტო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების მხრიდან გადასახდელ ყოველთვიურ სააბონენტოებს.

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	13,190	6,738
საკომსულტაციო ხარჯი	6,352	8,260
იჯარის ხარჯი	6,192	5,548
დაცვის ხარჯი	1,740	1,740
ცვეთის ხარჯი	1,182	1,448
კომუნალური ხარჯი	415	652
საკენცელარიო ხარჯი	321	197
სხვა ხარჯი	319	966
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	29,711	25,549

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს იჯარის, ხელფასისა და საკომსულტაციო ხარჯი.

15. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით გაინიაზღვრა.

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას. რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადასახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

სს „სი ეს არ”

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ დარში)

16. პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საშაულ კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოღავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიღებომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი და სავალუტო კანონმდებლობა შესარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა თავიდან ავიცილოთ საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიღებომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მურნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგირთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი - კომპანიას არ გააჩნია ტრანზაქციების ვალუტაში ამ ეტაპზე. შესაბამისად სავალუტო რისკი არ წარმოიშვება.

სს „სი ეს არ”

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

(ქართულ დარში)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტიანია. შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას კომპანიაზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექცემდებარებიან გადახდას.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იყო მიმდინარე:

31 დეკემბერი, 2019

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	71,496	-	-	71,496
დეპოზიტები	24,969	-	-	24,969
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,403	-	-	11,403
სულ ფინანსური აქტივები	107,868	-	-	107,868
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,378	-	-	3,378
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,378	-	-	3,378
ლიკვიდურობის პოზიცია	104,490	-	-	104,490

31 დეკემბერი, 2018

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	21,802	-	-	21,802
დეპოზიტები	40,000	-	-	40,000
მეზღუდული ფულადი სახრები	25,000	-	-	25,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,190	-	-	4,190
სულ ფინანსური აქტივები	90,992	-	-	90,992
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,381	-	-	4,381
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,381	-	-	4,381
ლიკვიდურობის პოზიცია	86,611	-	-	86,611

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმისდა მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცელა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და წებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემდებრული შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს.

I დონე	II დონე	III დონე
საწყისი აღიარება	საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ	გაუფასურებული აქტივი

ფული და ფულის ექვივალენტები დეპოზიტები	71,496
	24,969

კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში. სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტოროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრაცხველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (a) ან (d)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (d) ან (e)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

სს „სი ქს არ“
ფინანსური ანგარიშების გამარტებითი შენატენი
2019 წლის 31 დეკემბერი
(ქართული ლარში)

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (ცაგრძელება)

(გ) დასაქმების შემდგომი შეღავათიების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.
შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან.

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
საბალანსო უნივერსიტეტის ნაწილი		
კავშირი	დაკავშირებული მხარის გალანტი	დაკავშირებული მხარის გალანტი
<u>საგური მოთხოვნები</u>	<u>70</u>	<u>45</u>
სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“	აქციონერი კომპანია	70
ინვესტიციები	308,463	308,463
სს „ეს ეიზი“	ფლობილი კომპანია	308,463
მოვება-ზარალის ნაწილი		
კავშირი	მთლიანი კატეგორიას პირთან გრუნვა	მთლიანი დაკავშირი. კატეგორიას პირთან გრუნვა
<u>შემოსავალი პროექტებიდან</u>	<u>445</u>	<u>37,657</u>
სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“	აქციონერი კომპანია საერთო კონტროლის ქვეშ	205
სს „საინვესტიციო კომპანია იმედი“	მყოფი პირები	120
სს „ეს ეიზი“	ფლობილი კომპანია	120

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 მარტს.

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. მისი მასშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნულმა ვირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე, თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მას მნიშვნელოვანი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია კომპანიაზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებს ადგილი არ ჰქონია რომელიც უნდა ასახულიყო მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.